საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ქ. თბილისი **20/12/2018 წელი**

ბატონო ლევან, მოგახსენებთ, რომ ამა წლის 29 ოქტომბერს ჩაბარებული განცხადების საფუძველზე (განცხადების რეგისტრაციის № 13961) 16 ნოემბერს სამინისტროს მიერ ჩაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტში შავი არაგვის და შავი არაგვი 1 ჰიდროელექტროსადგურების,ჯამური დადგმული სიმძლავრით 8.35 მეგავატი, მშენებლობა და ექსპლუატაციის მიზნით სკოპინგის საჯაროს განხილვა. ასევე მოგმართეთ 14 ნოემბერს (განცხადების რეგისტრაციის № 14705) ზემოთ აღნიშნულ საჯარო განხილვის შეჩერებასთან დაკავშირებით იქიდან გამომდინარე, რომ პროექტირების პროცესში აუცილებელი გახდა საინჟინრო-გეოლოგიურ და ჰიდროლოგიურ კვლევებთან დაკავშირებული დამატებითი სამუშაოების ჩატარება, აგრეთვე მიწის საკუთრების საკითხების დაზუსტება, რასაც შესაძლოა ემოქმედა სადერივაციო მილსადენების საპროექტო ტრასის მარშრუტზე და გამოეწვია გარკვეული ცვლილებები საპროექტო დოკუმენტაციაში.

აქვე მოგასხენებთ, რომ ზემოთ აღნიშნული საკითხები დაზუსტდა, არ გამოიწვია ცვლილებები სადერივაციო მილსადენების საპროექტო ტრასის მარშრუტზე და საპროექტო დოკუმენტაციაში.

მოგმართავთ თხოვნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით და საჯარო განხილვის ჩატარების თაობაზე.

პატივისცემით,

სოლოენერჯის დირექტორი
გიორგი აფციაური
+995 599 100 774

ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაია 57

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 16621
"20" 12 2018
03